020141005354813

KA020141005354813

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

№ 08/1510

28 / თებერვალი / 2013 წ.

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს
აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ეკა გიგაურს

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2013 წლის 19 თებერვლის №1418-6 წერილის (სამინისტროს რეგისტრაციის №4239/11; 22.02.2013წ.) პასუხად გიგზავნით მონაცემებს 2012 წლის 20 ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში მომუშავე პირთა შესახებ:

1. მომუშავეთა რაოდენობა (საშტატო და არასაშტატოს ჩათვლით) - 877;
2. გათავისუფლებულ თანამშრომელთა ჯამური რაოდენობა - 53;
3. საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა - 31;
4. გათავისუფლების ბრძანებები და საფუძვლები თან ერთვის;
5. სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა ატესტაცია არ ჩატარებულა.

ამასთან გაცნობებთ, რომ "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული მხარის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ. გადასახდელი თანხა აღნიშნულ შემთხვევაში შეადგენს 1 (ერთი) კომპაქტური დისკისათვის 2 (ორი) ლარსა და 65 (სამოცდახუთი) თეთრს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემთხვევაში, გადმოგეცემათ თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში შემდეგი რეკვიზიტებით: **მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიშის სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული) ანგარიში № 200122900 მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: 220101222 სახაზინო კოდი:** 302003173

გადახდის დანიშნულება-საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

პავლე ოკუჯავა